European Bank
for Reconstruction and Development

პროექტის რეზიუმე დოკუმენტი

პროექტის სახელწოდება:	მარნეულის პროექტის გაგრძელება
ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ID:	40413
საწარმოო სექტორი:	აგრობიზნესი
სახელმწიფო/კერძო:	კერძო სექტორი
საბჭოს განხილვის თარიღი:	27 სექტემბერი, 2011 წელი
სტატუსი:	მზადაა საბოლოო განხილვისთვის
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი: პროექტის მოკლე ანოტაციის რედაქტირების თარიღი	30 აგვისტო, 2011 წელი
პროექტის აღწერილობა და მიზნები:	EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა - ერბბ) 2010 წელს. გამოყო დაახ 11.5 მილიონი აშშ დოლარი სესხი ჰოლდინგური კომპანიისთვის "მარგებელი" (საქართველო) ამჟამად შემოთავაზებული პროექტი წარმოდგენს შემდგომი სესხს 7 მილიონი დოლარის. ოდენობით. ეს თანხა გამოიყენება კაპიტალური დაბანდებების და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის, ჰოლდინგის მოქმედ შვილობილ კომპანიებში წარმოების მოდერნიზებისა და გაფართოების მიზნით.
ზემოქმედება გარდამავალ პროცესზე	ერბბ-ს სესხი ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას და კონკურენციას საქართველოს ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოტანით, რაც მომხმარებლებს მისცემს მეტი არჩევანის შესაძლებლობას იმპორტთან შედარებით. თვალსაჩინოების ეფექტი მიიღწევა ახალი ტექნოლოგიის და წარმოების

	ეფექტურობის დანერგვით, ასევე ცოდნისა და გამოცდილების გადაცემით.
კლიენტი:	სს "მარგებელი" არის ჰოლდინგური კომპანია და მთლიანად ფლობს ოთხ შვილობილ კომპანიას: 1) წყალი მარგებელი (მინერალური წყლის მოძიება და გაყიდვა); 2) ენგადი (კვების პროდუქტების დისტრიბუცია); 3) მარნეულის სასურსათო ქარხანა (ბოსტნეულის გადამუშავება); და 4) მარნეული აგრო (ფერმერული მეურნეობა). "წყალი მარგებელი" და "მარნეულის სასურსათო ქარხანა" ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას როგორც შიდა, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.
ერბბ-ს დაფინანსება:	7.0 მილიონი აშშ დოლარი გრძელვადიანი სესხის სახით.
სულ პროექტის ღირებულება:	15.6 მილიონი აშშ დოლარი
გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კატეგორიებად დაყოფა, გარემოზე ზემოქმედება და შემარბილებელი ზომები:	პროექტს ენიჭება B კატეგორია, რადგან პროექტითან დაკავშირებული საქმიანობა არის ობიექტისთვის დამახასიათებელი და ადვილად საზღვრადი, რომელთა ზემოქმედების შემსუბუქება შესაძლებელია წინასწარ განსაზვრული ზომებით. აღნიშნული კომპანიის პირველ პროექტთან დაკავშირებით ჩატარდა ეკოლოგიური აუდიტი, რომელმაც მოიცვა კომპანიის მიერ ამუშავებული ობიექტების უმრავლესობა. იმისდამიუხედავად რომ აუდიტის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვასთან, ორგანიზაციასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით, კომპანიის საქმიანობაში არ გამოვლენილა რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევები. შემუშავდა და კომპანიასთან შეთანხმდა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც მოიცავს ღონისძიებათა გეგმას, რაც უნდა განხორციელდეს არა მარტო ჰოლდინგის კორპორატიულ დონეზე, არამედ ცალკეულ ობიექტებზე. კორპორატიულ დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებანი მოიცავს ჰოლდინგის ყველა კომპანიაში გარემოსდაცვით, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას,

	ყველა პერსონალისთვის სათანადო ტრენინგის უზრუნველყოფას, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთნ დაკავშირებით დოკუმენტაციის და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვას. პირველი პროექტის ხელმოწერის შემდეგ, კომპანიამ განახორციელა გარემოსდაცვის და სოციალურ სამოქმედო გეგმა (ESAP), და ბანკს წარუდგინა ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ. სამუშაოების უმეტესობა განხორციელდა დროულად, შეთანხმებისამებრ, თუმცა კვლავ არსებობს რამდენიმე დაუსრულებელი საკითხი. კომპანიისთვის მეორე სესხის გამოყოფამდე, ბანკი შეასწორებს და განაახლებს გარემოსდაცვის და სოციალურ სამოქმედო გეგმას (ESAP), დაუსრულებელი საკითხების და კომპანიის გეგმების ცვლილების გათვალისწინებით. კომპანიას მოეთხოვება კვლავ წარუდგინოს ბანკს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების წლიური ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან და სხვა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.
ტექნიკური თანამშრომლობა:	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი (EBRD's ETC Fund) უზრუნველყოფს ჰოლდინგის "მარგებელი" ტექნიკური კონსულტანტების დაფინანსებას, რომლებიც "მარნეული აგრო" ფერმაში მოსავლის გაუმჯობესებასთან და მოდერნიზაციასთან დაკავშირებით კონსულტაციებს უზრუნველყოფენ. ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის კონსულტანტების შესახებ ინფორმაციისთვის, იხილეთ ბმული <u>კონსულტანტების დაქირავება</u>.
კომპანიის საკონტაქტო პირი:	ბ-ნი გრიგოლ გოგოლაძე gia@healthywater.ge
ბიზნეს შესაძლებლობები:	ბიზნეს შესაძლებლობებთან ან შესყიდვასთან დაკავშირებით, დაუკავშირდით კლიენტ-კომპანიას.

ზოგადი საკითხები:	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვას: ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380 ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
საჯარო საინფორმაციო პოლიტიკა (PIP)	საჯარო საინფორმაციო პოლიტიკაში მითითებულია, თუ როგორ აქვეყნებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ინფორმაციას და როგორ გადის კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებთან, მათი სტრატეგიების, პოლიტიკის და საქმიანობების შესახებ მეტი ცოდნის მიღებისა და უკეთ ინფორმირების მიზნით. საზოგადოებრივი საინფორმაციო პოლიტიკის ტექსტი იხილეთ: http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm
პროექტთან დაკავშირებით გასაჩივრების მექანიზმი (PCM)	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დანერგა პროექტთან დაკავშირებით გასაჩივრების მექანიზმი (PCM), ერთი ან მეტი ფიზიკური პირის ან ორგანიზაციებისათვის საჩივრების დამოუკიდებელი განხილვისთვის შესაძლებლობის მიცემის მიზნით, ბანკის მიერ დაფინანსებულ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა გამოიწვიონ ზიანი. PCM-ს მარეგულირებელი წესები შეგიძლიათ იხილოთ: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf ნებისმიერი საჩივარი, PCM-ს შესაბამისად, უნდა წარედგინოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფულადი სახსრების ბოლო განაწილებიდან არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში. თუ თქვენთვის რაიმე გაურკვეველია ან საეჭვოა, დახმარებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ PCM-ს თანამდებობის პირს (pcm@ebrd.com) ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეზიდენტ-ოფისს, საჩივრის წარდგენის პერიოდში.